საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

MOD 1 15 00877289

22/10/2015

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)" დირექტორის
მოადგილეს ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ **პაატა გაფრინდაშვილს**

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 222
თარიღი: 23 10 2015 წ.

მის: თბილისი, მიცკევიჩის N27
ტელ: 597-017901

ბატონო პაატა,

თქვენი მიმდინარე წლის 2 ოქტომბრის N356 (შემ.N818097 05.10.15წ.) განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ 2003 წლიდან 2009 წლამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული მცურავი საშუალებების გასხვისება არ მომხდარა.
რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს განადგურებული მცურავი საშუალებების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

პატივისცემით,

ადმინისტრაცია \ ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსი
არჩილ აბრამია

0112 ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ.20 ტელ. (995 32) 2 912058
20GENERAL G. KVINITADZE STR. 0112, TBILISI, GEORGIA, TEL. (995 32) 2 9120 58
E-MAIL: MOD@MOD.GOV.GE

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს**
**სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება**
**საქართველოს სასაზღვრო პოლიცია**
**ადმინისტრაცია**

№ 2095493

„23" 09 2015 წ.

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 198
თარიღი: 25 09 2015 წ

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS)
დირექტორის მოადგილეს, ფაქტ-მეტრის მთავარ
რედაქტორს ბატონ პ.გაფრინდაშვილს
(ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ.N27)

ბატონო პაატა!

თქვენი ამა წლის 9 სექტემბრის N320 წერილის პასუხად (შემოსული N1998393), გიგზავნით საჯარო ინფორმაციას მცურავი საშუალებების შესახებ, კერძოდ:

**შეკითხვა:** 2003 წლიდან დღემდე, თუ ჰქონდა ადგილი სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ მცურავი საშუალებების გასხვისებას?

და **შეკითხვა:** თუ ასეთი ფაქტი/ფაქტები დაფიქსირდა, გთხოვთ, მოგვწეროთ რა რაოდენობის მცუავი საშუალებები გასხვისდა, როდის და რა იყო მათი თვითღირებულება? (გთხოვთ ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თითოეული მცურავი საშუალების ტიპების და ზომების მიხედვით);

**პასუხი:** 2003 წლიდან დღემდე საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მცურავი საშუალებები არ გასხვისებულა;

**შეკითხვა:** რამდენი მცურავი საშუალება განადგურდა რუსეთ-საქათველოს 2008 წლის ომის დროს?

**პასუხი:** რუსეთ–საქართველოს 2008 წლის ომის დროს განადგურდა საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 3 (სამი) ერთეული მცურავი საშუალება:

1. სადარაჯო ხომალდი "აიეტი" (ბორტი NP-22);

2. საპატრულო კატარღა "ორბი" (ბორტი NP-205);

3. მცირე სწრაფმავალი კატარღა (ამერიკული) (ბორტი NP-01).

შეკითხვა: რამდენი მცურავი საშუალება ჰყავს საქართველოს სახელმწიფოს ამჟამად?

**პასუხი:** საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებები განსაზღვრულია საშტატო განრიგით, რომელიც მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის საიდუმლო ბრძანებით და განეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციას.

წინამდებარე წერილით გიგზავნით ინფორმაციას მხოლოდ საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მცურავი საშუალებების შესახებ და გაცნობებთ, რომ კომპეტენციიდან გამომდინარე სხვა სახელმწიფო ორგანოების, საზღვაო სუბიექტებისა და კერძო პირების მფლობელობაში მყოფი მცურავი საშუალებების თაობაზე მონაცემები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის
უფროსის მოადგილე,
ს/პ პოლკოვნიკი [signature] მ.ხვედელიძე

შემსრულებელი:

ადმინისტრაციის მედიასა და
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის წამყვანი სპეციალისტი
ს/პ კაპიტანი ეკატერინე გურგენიძე

ტელ.: 5 91 22 35 20

22 სექტემბერი, 2015წელი